დღის მესიჯი

მოსწავლეები ქარგის მიხედვით ადგენენ მარტივ ტექსტს.

			⇩	⇩			⇩
მოსმენილის გაგება	ფონოლოგიური უნარები	ანბანის ცოდნა	სიტყვების დეკოდირება და ცნობა	ლექსიკური მარაგი	გაწაფული კითხვა	გაგება-გააზრება	წერა

კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, მთელი კლასი.

რესურსი: დიდფორმატიან ქაღალდზე/დაფაზე დაწერილი ტექსტი, ფანქრები/ფლომასტერები, ფურცლები.

მსვლელობა

დღის მესიჯი

დღეს არის ---------- .

დღეს არის -------- .

ახლა არის ---------- გაკვეთილი. ჩვენ გვაქვს ქართული ენა.

დღეს გარეთ --------- .

დღეს ----------დაბადების დღეა.

---------- .

- მასწავლებელი დიდფორმატიან ქაღალდზე/დაფაზე წინასწარ ამზადებს “დღის მესიჯის” ქარგას, რომელშიც გამოტოვებულია ცალკეული სიტყვები/ფრაზები.
- მასწავლებელი მოსწავლეების დახმარებით ყოველდღიურად, გაკვეთილის დასაწყისში ავსებს ტექსტში გამოტოვებულ ადგილებს (ამისათვის შესაძლებელია სიტყვის ბარათების გამოყენებაც).
- მასწავლებელი მიაკრავს ცარიელ ფურცელს გამოტოვებული სიტყვების ადგილას და დაწერს საჭირო სიტყვებს. მომდევნო დღეს კი, იმის მიხედვით, ბავშვებთან ერთად როგორ ტექსტს შეადგენს, გამოცვლის მიკრულ ფურცლებს და ინფორმაციას განაახლებს.

შევსებული ნიმუში:

დღის მესიჯი

დღეს არის **12 ნოემბერი**.

დღეს არის **ოთხშაბათი**.

ახლა არის **მეორე** გაკვეთილი. ჩვენ გვაქვს ქართული ენა.

დღეს გარეთ **ცივა**.

დღეს **თეონას მამის** დაბადების დღეა.

მე არ მიყვარს ქარი.

შენიშვნა: სასურველია, მასწავლებელმა თავდაპირველად, მოდელირების მიზნით, თავად შეავსოს მოცემული ქარგა საჩვენებელი/სამოდელო წერისა და ხმამაღლა ფიქრის გამოყენებით. მოგვიანებით კი მოსწავლეები დამოუკიდებლად შეადგენენ „დღის მესიჯს“.